

ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

62

186/19970

დამატების № 120.

სურათებიანი, 22 მაისი 1903 წ.

ნაბითის № 2158.



მწვექსი.—ნახშირით დასატუღი გოვიაშვილისკან.

ს ი მ ლ ი რ ა

მეშღერება და ვიშღერი:
გულზე შუბის სიმა იარა,—
წარსულზე ფეჭი მწუნებს,
აწმუოში არა ურია-რა
და მომავლის ფეჭებიც
არაფინ გამოიზიანა!

ნისღებში განუკუღაია,
ოდნავა ბეჭტეს ვარსკვლავია,

ველარ ვაშორებ თვალგებს,
ერთივლ იმისი მზისაფი.
დაფინებულის მის ცქერით
შეიქეჩნ დასაძრასაფი.

გულში-გი წულული იზრდება,
სულს მიხუთავს, მიღონებს,
სიკვდილი არა შვადან,
თუმც ტანყავა სიკვდილს მაკონებს
და ჩემი უოფნა ასეთი
საწუვლს ამიანის მაკონებს.

სმალიც გვერდს უქე, გოშიაც
ერთგულად ჭლრდნის რეინას;
არც სმალი მოდის გმირთან,
ვერც თითონ სწულება იმას.
კარდნილი ვაჭვიც მთელია,
ჭხელავს მეორე დილას;
სწავეს ტანყავა-გაუმის გვეხლა
პარონის და იმის ბინას:
მომავლის სხივი აჭრავებს
გმირის ოხერას და გმირვას.

გაზა-გუშველა.



ღმერთი.—სურათი კერტაჟისა.

ბ ე ჭ ე ლ ი

ფან-რიტერისა.

ჩემი წარსული, რაც კი ჩემი თავი მახსოვს, საინტერესოს არაღერს არ წარმოადგენს. ვარ ხავერდის ყუთში სხვა ბეჭედებთან ერთად, ოქრო-მკვდლის ფანჯარაში. ხან-და-ხან ამიღებენ, გამწინჯავენ, ძველს ალაგსვენ და მდებენ, და ისევ დადგება დაურღვეველი ღუმელი.

მაგრამ ერთხელ ჩემი მღვთობა მთლად შეიცვალა. ყუთიდან ამოვიღეს, პატარა ხელზედ გამიკეთეს და იმ წუთას, როცა ჩვეულებრივ ველოდებოდი, რომ საცაა ჩემ ალაგზე და მდებენ მეთქი, მომესმა ნახი ხმა:

— აჰ, რა მშვენიერებაა! ვრა, ჩემო სერგეი?

მეორემ, უფრო ბოხმა ხმამ მიუგო:

— ჰო, მშვენიერი ბეჭედი! მოგწონს? მაშ, ეხლავე ვიყიდი, მხოლოდ გახსოვდეს, ლელია, ერთის პირობით: არასოდეს არ მოიშორა ხელიდან!

და ნელა, თითქმის ჩურჩულით დაუმტა:

— სასოვრად ჩვენის სიყვარულისა, ჩვენის ბედნიერებისა...

ხელი, რომელზედაც მე ვიყავ გაკეთებული, ოდნავ შეჭკრა და მაგრა, მაგრა მიეკრა მეორეს, უფრო მოუხეშვე ხელს.

ამ რიგად დავაწიე თავი ოქრომკვდლის ღუმელს.

დადგა ბედნიერი დღეები, რომელსაც ჩემი საუკეთესო მეგობრებანი ეკუთვნის. რა მშვენიერად და კმაყოფილად ვგრძნობდი თავს პატარა ხელის ალის ფერ ფრჩხილიან თითზედ. ხშირად ვეაღერებოდი მე და ის სერგეის ხუტუქ თმებს. ხშირად ვიწყობოდი იმის დიდ ხელში და ნახიდ ვეცეოდი ერთმანეთს. ღმერთო, მეც რამდენი მზურავლე კოცნი-

მელირსებოდა ხოლმე და რა ხშირად მესმოდა იმ დროს ნახი სიტყვები და ფიცი საუკუნო სიყვარულისა!

ამ სანეტარო ბედნიერებამ მთელი წელიწადი გასტანა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად საქმე შეიცვალა... პარტო სერგეის თმებს არ ეხებოდი, ვგრძნობდი, რომ ნახი ხელი ყმაწულის აკანასკ არწვედა, ვგრძნობდი, რომ ნახი ხმა ნინას დამღეროდა. მაგრამ, ჩუ!.. ხელი უტებდ შეჭკრათა... ხშირად ეხებოდა მზურავლე შუბლს და ლოყებს... ნეტა რასა ჰწინავს ესა? ცრემლებით დამაბლი ხელსახოცი რად ეტორა ხელში? ესე ხშირად რად ისახავდა პირჯვარს? ბოლო დროს მესმოდა სიტყვები მზურავლე ლოყვისა, ხან გულსაკლავი ქეთინი და ამასთან დამამწვიდებელი ხმა ვაჟისა:

— ღმერთი მოწყალო, ლელია, ერთად ვილოცოთ, იმედი გეკონდეს, ექიმი დამპირდა...

პასუხად— ოხება, ხელახლად ლოცვა, მწარე ღლინი და ცრემლები, დაუსრულებელი ცრემლები.

აკვანი დეკარეილა, შესწყდა დამამწვიდებელი ნახი ხმა. ოთახში სიჩუმე იყო, ბნელოდა, ისევ წამლების სუნნი დადგა. მესმოდა მძიმე კენესა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხველა. საბრალო პატარა ხელი საბანზე იღო და მეც თავისუფლად ვმოძრაობდი გამბარო თითზე.

ერთხელ მომესმა ნაცნობი ხმა, მაგრამ რა რიგად გამოცვლილიყო, რანაირი ჩუმი იყო და როგორის ძალბატანებით ლაპარაკობდა!

ჩემზედ ლაპარაკობდნენ.

— სერგეი, ვახსოვს ეს ბეჭედი? შენი სურვილი ავასრულე. მე... თითიდან არ მომიშორებია და... სიცილილამდის არ მოვიშორებ. ეხლა შენც ამისრულე უკანასკნელი თხოვნა: როცა მე... მოვკვდები... ეს ბეჭედი ყოველითს... ყოველთვის ატარე!

მომესმა ქეთინი.

6.3



— შე კი... ჩქარა მოვევლები... ვიცი, ვგრძნობ... ის ენა-ზე, ჩემი ანგელოზი... შეძახდა.

შურვალე ცრემლი ზედ დაშეცა.

— ლელია, ნუ პღელავ ღვთის გულისათვის! ნერვების ბრალია, ჯერ სუსტადა ხარ, მაგრამ ექიმი დამპირდა...

— ექიმი მაშინაც გპირდებოდა! სერგეი, დაიფიცე ჩვენი ანგელოზის სული... დაიფიცე, რომ ამ ბეტქედ არ მოიშორებ!

— ფიცაც! მაგრამ შენ ტყუილად...

— მაკოცე უკანასკნელად! კიდევ, როგორც წინად, აი, გგრეს... შვიდობით, არ დამიფიცო და „იმისი“ საფლავიც არ დაიფიცო...

იმის შემდეგ იმისი ხმა აღარ გამოგონია. მახსოვს, ხელი როგორ ცივდებოდა, ბოლოს როგორ მოიკუმშა, შეერთა, გაიკიბა და სამარისებურმა სიციფემ შემიპყრო. მახსოვს, სერგეის ტუჩები როგორ ეხებოდნენ გაცივებულ ხელს, ჰკოცნიდნენ, როგორ მასველდებდნენ იმისი ცრემლები. მახსოვს, ბოლოს როგორ მომპოვარა ცივს და უძრავ ხელს, ძლივს გამოიყვანა თავის ნეტხედ და თანაც მაკოცა.

ლელის სიკვდილის პირველ ხანებში ჩვენ ყოველ დღე შვიდიოდი სასაფლაოზედ, სადაც ღვდა და შვილი ერთად იყვნენ დასაფლავებულნი. დიდ ხანს იჯდა ხოლმე სერგეი და ცრემლიანის თვალებით სადღაც სივრცეში იყურებოდა. ხშირად, ძალიან ხშირად სხვა-და სხვა სურნელოვან ყვავილებით ამკობდა საფლავებს და შემდეგ...

შემდეგ სასაფლაოზედ სიარული იშვიათად დაიწყო და ბოლოს სულ მივლიდა შესწყვიტა. მაგრამ, სამაგიეროდ, გამჩნევიდა, რომ იმის ხელში ხშირად ჩნდებოდა სათამაშო ქალაღღები და ქიქით ღვინო; ყვავილებიც ჰხედებოდა ხოლმე ხელში, მაგრამ—ოჰ!—ძვირფის საფლავისათვის კი არა...

ქალის ხელს!.. სერგეი ეალერსება, ჩასჩურჩულებს იმავე სიტყვებს სიყვარულისას, იმავე ფიცსა და აღთქმას, რომელსაც სულ მცირე ხნის წინად ჩასჩურჩულებდა პატარა, საცოდავ ლელისა!

გბრაზდებოდი, ყოველივეს მაშფოთებდა! მეზოზღებოდა ცივ და უცნობ ხელის შეხება, სერგეი კი იმ ხელს კოცნით აჯილღოვებდა!

ოჰ, როგორ მძაგდა ეს ხელი, რანაირ მოუხეზავდა მიპანდა ლელისა ნახს და პატარა ხელთან შედარებით; რომელმაც იცოდა მხოლოდ სიყვარული და აღერისი! ეს ახალი ხელი კარგზე უფითებდა, სერგეი კი იმის ფეხთა წინაშე მოტევენას ითხოვდა: ეს ხელი სცემდა კიდევ, სერგეი კი ჰკოცნიდა; ხელი ავლევდა ზუტუტ თამას, რომელსაც ლელისა ხელი ეალერსებოდა, სერგეი კი იცინოდა ამაზედ.

ოჰ, რომ შემძლებოდა შური მეძია!

ამაზე უარესებიც მახსოვს. მახსოვს, საზიზღარმა ხელმა როგორ გადმოჰყარა ლელის ნივთები და რა რიგად სრესდა ფეხით იმის სურათს, სერგეი კი ჯერ ოდნავ წინააღულდა და შემდეგ... დასთმო. არ ვიცი, იგრძნო რამ თუ არა იმ დროს, მაგრამ იმისი ხელი კი აკანკალდა და მომეჩვენა, რომ ეს ხელი აცრემლებულ თვალებთან მიიტანა.

მაგრამ მაინც დასთმო. თუ წმინდად რასმე იცავდა სერგეი—ეს მე უნდა სიმაართლე ესთქვა, ხელიდან არ მოუშორებოდა ბივარ და როცა პირველად დაიწყეს ჩემზედ ლაპარაკი და გავიგო დაფინებით ბრძანება, რომ არ ეტარებინა „ეს უშვავისი ბეტქედი“, იმის პასუხში ისეთი კილო გამოჰყართოდა, რომ ქალიც კი გაჩუმდა და დიდ ხანს ამაზედ ლაპარაკი აღარ აღუძრავს.

მაგრამ ჩემი ბოლოც მოახლოვდა

ეს ამბავი მოხდა გაზაფხულზედ, თითქო ახლა იყო, ისე მახსოვს,—ლელისა სიკვდილის ერთ წლის შემდეგ, სერგეი მეტად

63

— სერგეი, აი, შენ მეფიცები, რომ გიყვარვარ, რომ შენ „ის“ არასოდეს ისე არ გყვარებია, როგორც მე, რომ „ის“ სიყვარული კი არა, გატაცება იყო... მართალია?

— მართალია, ჩემო ძვირფასო, გეფიცები!

— მე შენი ფიცი არ მინდა, მინდა, რომ დამარწმუნო, ფიცი კი—სიტყვებია. დამიმტკიცე, რომ ძალიან გიყვარვარ, უფრო მეტად ვიდრე „ის“! დამიმტკიცე, რომ „ის“ დაივიწყე, სრულებით დაივიწყე!

— ჰო, მაგრამ რითი? მერწმუნე, მხოლოდ შენ...

და დაჰკოცნა ერთხელ, ორჯერ... და კვლავ ეალერსებოდა.

— სერგეი, ნუ მტანჯავ! მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, რომ „ის“ მკვდარიც არ გიყვარს, როცა მომცემ მაგ ბეჭედს, რომელსაც არასოდეს არ იშორებ და უფრთხილდები, როგორც წმინდა ნაშთსა.

— ეგ ხომ ბეჭეობაა, ჯიუტობა! განა, შეიძლება მკვდრებზედ იქვიანობა? გონს მოდი! სხვა არა იყოს რა, სისულელე!

ამის შემდეგ ასტყდა ალიაქოთი, ყვირილი, ტირილი, ლანძღვა. სერგეი აღელვებული დადიოდა ოთახში და თმებს

იგლეჯდა. დიდ ხანს ებრძოდა თავს თავს, ებეჭებოდა, არ უნდოდა, რომ ბეჭედი მიეცა, მაგრამ ბოლოს მიანც დასთმო.

მე გადაველ საზიზღარ ქალის საზიზღარ ხელში, ქალი უცბად წამოხტა, მიირბინა ფანჯარასთან და გაალო. სერგეიმ დაიყვირა და მიჰვარდა, მაგრამ მე უკვე ქუჩისაკენ მივფრინავდი.

ეტლმა ზედ გადამიარა და ტალახში ჩამვლა. არ მასოვს, რამდენს ხანს ვეგდე ქუჩაში ტალახ ქვეშ, ვინ ამილო, როგორ გაეჩნდი სახელოსნოში, მაგრამ ეხლა, დაგრებილი, ტალახიანი ვგდივარ ყუთში ჩემსავით დამახინჯებულებთან ერთად.

დღეს დილით გავიგე, ოსტატი თუბნებოვა ქარგალს, რომ ხეალ უნდა გადაეიდნოთო. ეს კისიკვილისა ჰნიშნავს. მაგრამ სულ ერთი არ არის ჩემთვის, როცა ლელია უკვე მკვდარია, დაიწყებული და იმისი სახსოვარიც შელახულია?

ს. ო.

ბ/ს/ბ/

უცხოეთის ფურცელ-გაზეთებიდან.